

შპს „დიჯიტალ 360“-ის
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის „-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 18 აპრილს.

მენეჯმენტის სახელით:



ფინანსური დირექტორი
ანდრეის ნესტერენკო

აპრილი 18, 2024
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს დიჯიტალ 360+-ის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დიჯიტალ 360-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძვლები

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

შპს „დიჯიტალ 360“-ის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ ჩვენ და გამოვთქვით უპირობო მოსაზრება 2023 წლის 07 მარტს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნებამდელი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ „ასს“-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეულ უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაცქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ

საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ჩიხლაძე.





ოთარ ჩიხლაძე

დირექტორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

შპს აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი-777

ლიცენზია #SARAS-F-799812

აპრილი 18, 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	175,827	194,649
სულ გრძელვადიანი აქტივები		175,827	194,649
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები		-	6,508
მარაგები		4,513	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,234,706	1,556,696
გადახდილი ავანსები		26,820	28,925
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	1,462,741	1,492,218
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,728,780	3,084,347
სულ აქტივები		3,904,606	3,278,995
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		2,095,394	2,840,463
სულ კაპიტალი		2,095,394	2,840,463
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები		1,560,263	-
მოკლევადიანი ანარიცხები	8	175,055	100,797
მიმდინარე საგადახდო დავალიანება		68,607	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	5,287	337,735
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,809,212	438,532
სულ ვალდებულებები		1,809,212	438,532
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,904,606	3,278,995

ფინანსური დირექტორი
ანდრეის ნესტერენკო

აპრილი 18, 2024
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	17,851,043	13,162,492
საერთო მოგება		17,851,043	13,162,492
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(7,847,272)	(5,173,831)
საოპერაციო მოგება		10,003,771	7,988,661
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)		(127,339)	(267,565)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	905
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12	(144,376)	(129,752)
მოგება დაბეგვრამდე		9,732,056	7,592,249
მოგების გადასახადის ხარჯი		(115)	(45,637)
წმინდა მოგება		9,731,941	7,546,612

ფინანსური დირექტორი
ანდრეის ნესტერენკო

აპრილი 18, 2024
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	946,678
პერიოდის წმინდა მოგება	7,546,612
დივიდენდების გადახდა	(5,652,826)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,840,463
პერიოდის წმინდა მოგება	9,731,941
დივიდენდების გადახდა	(10,477,011)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,095,394

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	9,731,941	7,546,612
კორექტირებები:		
ცვეთა	66,825	79,712
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	32	18,417
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	144,549	267,565
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	9,943,347	7,912,306
ცვლილებები მარაგებში	(4,513)	-
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	6,508	(6,508)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(694,581)	(1,044,904)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	2,105	(9,858)
ცვლილებები მოკლევადიანი ანარიცხებში	74,542	100,797
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	68,607	(29,449)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(351,902)	357,094
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	9,044,113	7,279,479
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,035)	(125,431)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(48,035)	(125,431)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხების დაფარვა	-	(8,379)
დივიდენდების გადახდა	(8,916,747)	(5,652,826)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(8,916,747)	(5,661,205)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	79,330	1,492,842
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(108,808)	(131,835)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,492,218	131,211
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,462,741	1,492,218

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს დიჯიტალ 360+ დაარსდა 2019 წლის 15 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შექმნილია საქართველოს რეგლამენტის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404571762. სააქციო საზოგადოება Scandiweb AS, (40203396875), (ლატვია) არის კომპანიის 100%-ის მფლობელი.

შპს დიჯიტალ 360 + გთავაზობთ ვებ განვითარების სერვისებს, რათა დაეხმაროს ფიზიკურ პირებს, მეწარმეებს და მცირე ბიზნესს ციფრული ქონების ინვესტიციების მაქსიმალურად გაზრდაში. მომხმარებლის გამოცდილების კვლევისა და ოპტიმიზაციის საშუალებით კომპანია ფოკუსირებულია მომხმარებლის ძირითად ბიზნეს მიზნებზე, რათა მოიპოვოს ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს მათი სერვისები და ციფრული პროდუქტები მათი მომხმარებლებისთვის.

გარდა ამისა, როგორც დიდი კომერციის პარტნიორი, შპს დიჯიტალ 360+ გაწვდით საიტის ყოფნის მენეჯმენტს და მხარდაჭერას, რომელიც ავსებს თქვენს ბიზნესსა და მარკეტინგულ სტრატეგიებს ახალი მომხმარებლების მოსაპოვებლად, ბრენდის ლოიალობის შესაქმნელად და SEO პროგრამების განსახორციელებლად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფასს 1- პირველად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 GBP	3.4228	3.2581
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- აიტი აღჭურვილობა – 20%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი – 20%
- იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა – 10-14%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასხვისებით, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ასაკისა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო ვადის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

გადასახადები

კომპანიის გადასახადი გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოდგენილია როგორც საგადასახადო აქტივი. ამასთან, კომპანია, როგორც ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მფლობელი, სარგებლობს გარკვეული შეღავათებით, კერძოდ, არ იბეგრება კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდებით მიღებული მოგება, ასევე მიწოდება. კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიები არ ექვემდებარება დღგ-ს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა კომპიუტერული ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულ მსვლელობაში, დასრულების და გაყიდვის ხარჯების სავარაუდო ღირებულებას გამოკლებული.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემცენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივები და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები წარმოიქმნება საკონსულტაციო მომსახურებიდან და აღიარებულია ყოველთვიური ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს და ფასდაკლების გარეშე.

შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. როდესაც ბარტერული ტრანზაქციის შედეგად მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს, შემოსავალი ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები, კერძო დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

5. ძირითადი საშუალებები

	აიტი აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 01.01 2022	153,941	62,675	1,734	218,349
დამატებები 2022 წელს	98,530	26,901	-	125,431
ჩამოწერა 2022 წელს	(26,637)	(5,502)	-	(32,139)
ბალანსი 31.12. 2022	225,834	84,074	1,734	311,642
დამატებები 2023 წელს	46,155	1,880	-	48,035
ჩამოწერა 2023 წელს	-	(383)	-	(383)
ბალანსი 31.12. 2023	271,989	85,572	1,734	359,294
აკუმულირებული ცვეთა				
ბალანსი 01.01 2022	(37,776)	(11,460)	(1,766)	(51,003)
ამორტიზაციის გადასახადი 2022 წელს	(58,360)	(21,352)	-	(79,712)
ჩამოწერა 2022 წელს	10,595	1,895	1,232	13,722
ბალანსი 31.12. 2022	(85,541)	(30,917)	(534)	(116,993)
ამორტიზაციის ხარჯი 2023 წელს	(47,569)	(19,083)	(173)	(66,825)
ჩამოწერა 2023 წელს	61	289	-	351
ბალანსი 31.12. 2023	(133,049)	(49,711)	(708)	(183,467)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 01.01. 2022	116,164	51,215	(33)	167,347
ბალანსი 31.12. 2022	140,292	53,157	1,199	194,649
ბალანსი 31.12. 2023	138,940	35,861	1,026	175,827

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	2,234,706	1,556,696
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,234,706	1,556,696

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
ნაღდი ფული ბანკში დოლარში	1,242,956	876,034
ნაღდი ფული ბანკში ევროში	151,909	581,298
ნაღდი ფული ბანკში GBP-ში	38,909	33,989
ნაღდი ფული ბანკში ლარში	28,966	898
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,462,741	1,492,218
ნაღდი ფული ხელზე (წვრილი ნაღდი ფული)	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,462,741	1,492,218

8. მოკლევადიანი ანარიცხები

	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
გამოუყენებელი შვებულების ანარიცხები	175,055	100,797
სულ	175,055	100,797

9. ვაჭრობა და სხვა გადასახადები:

	31 დეკემბერი, 2023 წელი	31 დეკემბერი, 2022 წელი
კრედიტორული დავალიანება	4,039	334,847
ხელფასები	1,248	2,888
სულ	5,287	337,735

10. შემოსავალი მომსახურებიდან :

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან(არადაბეგვრადი)	17,842,242	13,178,517
შემოსავალი მომსახურებიდან(დაბეგვრადი)	13,346	
უკან დაბრუნება	(4,545)	(16,024)
სულ შემოსავალი	17,851,043	13,162,492

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები	5,890,526	2,688,714
Scandiweb BEL მომსახურება	1,430,310	1,967,617
ოფისის იჯარა	132,527	124,520
ცვეთა	66,825	78,481
დაზღვევა	66,491	26,599
პენსია	58,431	38,881
მომსახურების საფასური	56,247	62,627
საკომისიო	51,416	44,357
საკომუნიკაციო ხარჯები	35,593	31,030
ბუღალტრული მომსახურება	22,482	21,993
ოფისის ხარჯები	16,469	31,352
საკონსულტაციო ხარჯი	9,482	-
კომუნალურები	7,058	-
გადასახადები	1,852	1,810
სხვა ხარჯები	750	1,545
დაცვის ხარჯი	415	150
კომპიუტერულ ხარჯები	390	7,589
სატრანსპორტო მომსახურება	6	200
პერსონალის ძებნისა და შერჩევის ღირებულება	-	19,251
მივლინების ხარჯები	-	15,757
მარკეტინგის ხარჯები	-	11,358
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	7,847,272	5,173,831

12. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
გამოუყენებელი შვებულების ხარჯები	103,986	100,797
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	33,968	-
საურავები	6,423	8,566
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯები	-	20,389
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	144,376	129,752

13. პირობითი ვალდებულებები:

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიის მნიშვნელოვანი ფიქსირებული აქტივები დაზღვეულია სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილება მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად განიხილება, თუ მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო მონათესავე მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ოპერაციები მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გადასახდელი დივიდენდები
SCANDIWEB AB	626,988	-
SCANDIWEB AS	-	1,560,263
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	626,988	1,560,263

ოპერაციები მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	Trade and other receivables	Trade and other payables
SCANDIWEB AB	436,266	-
SCANDIWEB BEL	-	329,499
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	436,266	329,499

ოპერაციები მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადახდილი დივიდენდი	შემოსავალი	მომსახურების საფასური
AS SCANDIWEB	10,477,432	-	-
SCANDIWEB AB	-	3,194,243	-
SCANDIWEB BEL	-	-	1,430,310
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10,477,432	3,194,243	1,430,310

ოპერაციები მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადახდილი დივიდენდი	შემოსავალი	მომსახურების საფასური
Glebs Vrevskis	942,415	-	-
Aigars Pavlovics	765,310	-	-
Uldis Baumerts	566,550	-	-
Davis Kriauksis	494,873	-	-
Antons Sapriko	2,355,012	-	-
Olex Cebinoga	537,044	-	-
SCANDIWEB AB	-	2,755,413	-
SCANDIWEB BEL	-	-	1,967,617
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	5,661,205	2,755,413	1,967,617

ხელფასის ხარჯი	2023 წელი	2022 წელი
აღმასრულებელი მენეჯმენტი	301,547	37,154
სულ ხელფასის ხარჯები	301,547	37,154

15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მენეჯმენტი განიხილავს ბიზნესის უწყვეტობის საკითხებს, რათა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მუდმივი საქმიანობის პრინციპზე დაფუძნებული სამართლიანი.

ხელმძღვანელობა დარწმუნებით ამტკიცებს, რომ კომპანიის მიმდინარე ოპერაციებს გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, ისინი ადასტურებენ, რომ არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ორგანიზაციას არ აქვს შემდგომი მოვლენები.

17. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება:

ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებულია და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 18 აპრილს.

შპს დიჯიტალ 360
(ს.ნ 404571762)
მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მმართველობითი ანგარიშგება

შპს დიჯიტალ 360

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები. ანგარიშგება ასევე მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და კომპანიის განვითარების პოტენციალს.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ **შპს „დიჯიტალ 360“** მმართველობის ანგარიშგება.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. კომპანიის შესახებ

შპს დიჯიტალ 360 დაარსდა 2019 წლის 15 იანვარს.

4. კომპანიის საქმიანობა

მომსახურება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც გაეწევა პირ(ებ)ს, რომლის/ რომელთა რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ. აღნიშნული მომსახურება მოიცავს, შემდეგ საქმიანობას:

- 1) საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები
- 2) ციფრული პროდუქტის დამზადება ან/და მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით
- 3) ვებგვერდის დამზადება ან/და მიწოდება
- 4) ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება
- 5) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება
- 6) სისტემის დისტანციური ადმინისტრირება.

5. შიდა სტრუქტურა

დასაქმება

კომპანიაში 2023 წელს დასაქმებული იყო 106 ადამიანი.

დასაქმებულთა 61 % ქალია, ხოლო 39% – მამაკაცი.

წლიური სახელფასო ხარჯი საანგარიშო პერიოდისთვის (ასევე 2023 წლისთვის) 5890526 ლარი.

2023 საანგარიშგებო წელს კომპანია საკუთარი განცხადებით დატოვა 33-მა დასაქმებულმა.

კომპანიაში განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებელი: Scandiweb AS, 40203396875 /ლატვია/ რაოდენობა 100%.

დირექტორები:

დირექტორი ფინანსური დირექტორი – ანდრეის ნესტერენკო, 161187-10814,

LV6573423 /ლატვია/, სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული

აღმასრულებელი დირექტორი – ანა მარლიშვილი, 01017034282 ,სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული

აღნიშნული გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში, თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით, საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი კომპანიები.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში იჯარით აღებულ ფართი შემდეგ მისამართზე: თბილისი ვაკე-საბურთალო ალექსიძის 6.

6. სამომავლო გეგმები

კომპანია სამომავლოდ გეგმავს გააფართოვოს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით საქმიანობის სფერო-სხვაფასხვა აიტი პროდუქტების შექმნის მიზნით.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები ჩვენს კომპანიას არ გააჩნია.

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას და აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

9. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები:

ინფორმაციის ტიპი	2023 წელი
შემოსავლები	17851043
ხარჯები	8119101
მოგება-ზარალი	9731942
მთლიანი აქტივები	3904606

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - ფინანსური დირექტორი - ანდრეის ნესტერენკო

შპს დიჯიტალ 360

დირექტორი - ანდრეის ნესტერენკო



თარიღი: 18 აპრილი 2024 წელი